სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია,
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

ბაკურ ლაშხია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.21.06

საერობო ხმოსანთა არჩევნები 1918 წელს ზუდიდის მაზრაში

აბსტრაქტი. 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერობის რეფორმის შესახებ რეზოლუცია მიიღო, რომლის თანახმადაც საქართველოში უნდა დანერგილიყო სამსაფეხურიანი საერობო სისტემა: მცირე საერობო ტერიტორიული ერთეული, სამაზრო და საგუბერნიო, ანუ საოლქო. ერობის არჩევნები საყოველთაო (განურჩევლად სქესისა), პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული სისტემით უნდა ჩატარებულიყო. 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის სეიმი მუშაობას შეუდგა, მათ სასწრაფო წესით შექმნეს ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისია. 18 თებერვალს დაარსდა ერობის შემომღები ინსტრუქტორის სამდივნო, რომელმაც დაიწყო სამაზრო საერობო კომისიების შექმნა. 1918 წლის 1 დეკემბერს, ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნები ჩატარდა. ზუგდიდის მაზრაში რეგისტრირებული იყო 65 024 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 21 996 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები ასე გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოფიალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 11 641 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 2 8901 754 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 8 601 ხმა.

საკვანძო სიტყვები: ზუგდიდის მაზრა, ხმოსნები, საარჩევნო უბნები, საარჩევნო სია, პოლიტიკური პარტიები.

---

[1] **ბაკურ ლაშხია**,სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

Bakur Lashkhia[2]
Sokhumi State University

Elections of provincial assembly members in Zugdidi district (1918)

Abstract. In November 1917, the National Council of Georgia passed a resolution on Provincial assembly reform, according to which a three-tier Provincial assembly system was to be introduced in Georgia: small Provincial assembly, District, and gubernatorial, i.e. district territorial units. Provincial assembly elections should have been general (regardless of gender), direct, equal, confidential, and proportional.

On February 10, 1918, the Transcaucasian Seim started its work and urgently created the Commission of Local Government and Self-Government. On February 18, the Secretariat of the Introductory Instructor of the Provincial assembly was established, which began to organize the Provincial assembly commissions. On December 1, 1918, Provincial assembly elections were held in Zugdidi District.

There were 65,024 registered voters in Zugdidi District. 21,925 voters participated in the elections. The results of the elections between political parties were distributed as follows: Socialist Bloc (United Bloc of the Social Democratic Workers' Party of Georgia and the Social-Federalist Revolutionary Party of Georgia) - 11,641 votes; National Democratic Party of Georgia - 1 754 votes; Socialist Revolutionary Party of Georgia - 6 601 votes.

Keywords: Zugdidi district, assembly members, voting area, electolar roll, Political parties.

შესავალი. რუსეთის იმპერატორები იმპერიის განაპირა მხარეებში საერობო სისტემის დანერგვის წინააღმდეგი იყვნენ. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შედეგად რუსეთში მეფის ხელისუფლება დაემხო. რუ-სეთში ხელისუფლებაში დროებითი მთავრობა მოვიდა, რომლის მიდგომა საერობო რეფორმასთან მიმართებაში მკვეთრად განსხვავებული იყო. 1917 წლის ოქტომბერში რუსეთში მომხდარი კონტრრევოლუციური გადატრია-ლების შედეგად კავკასია რუსეთს დე ფაქტო გამოეყო. საქართველოში შექმ-ნილმა ეროვნულმა საბჭომ 1917 წლის ნოემბერში ერობის რეფორმის შესა-ხებ რეზოლუცია მიიღო, რომლის თანახმადაც საქართველოში ერობის სამ-

[2] **Bakur Lashkhia**, Doctoral student of the PhD program in Georgian History at Sokhumi State University.

საფეხურიანი სისტემა უნდა დანერგილიყო. ერობას უნდა მინიჭებოდა სამეურნეო ფუნქციებთან ერთად ადგილობრივ საქმეებში სახელმწიფო მმართველობის უფლებებიც.

ამიერკავკასიის სეიმის ინსტრუქტორის სამდივნომ დაიწყო სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობიდან სამაზრო საერობო კომისიების შექმნა. მთავარი საერობო ინსტრუქტორის თანამდებობაზე ვიქტორ თევზაია დანიშნეს, მის თანაშემწედ - ტიტე მარგველაშვილი.

სამწუხაროდ საერობო ხმოსანთა არჩევნების ისტორია ზუგდიდის მაზრაში შესწავლილი არ არის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ირაკლი ხვადაგიანის საყურადღებო ნაშრომი, თუმცა მასში გარკვეული უზუსტობები შეინიშნება.

ჩვენი სტატიის მიზანია დეტალურად წარმოაჩინოს ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნებისთვის მზადების პროცესი, არჩევნების მიმდინარეობა, მიღებული შედეგები, დაფიქსირებული ხარვეზები და ა. შ.

კვლევის მეთოდი. სამეცნიერო სტატიის მოსამზადებლად გამოყენებულია წყაროების კრიტიკული შესწავლის და კონტენტ ანალიზის, დოკუმენტის შესწავლის მეთოდი.

შედეგი. ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა პირველხარისხოვანი საარქივო დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ საერობო არჩევნებს ზუგდიდის მაზრაში. სტატიაში გასწორებულია ის უზუსტობები, რომელიც იყო დამკვიდრებული ქართულ ისტორიოგრაფიაში ცალკეულ საკითხებთან მიმართებაში.

მსჯელობა. 1918 წლის 26 მაისს აღდგა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მცირე ცვლილება განიცადა 1918 წლის იანვარში ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებულმა საერობო თვითმმართველობის დებულებამ. დებულება უფრო მეტად მოერგო ქართულ სინამდვილეს.

1918 წლის 1 დეკემბერს (ახალი სტილით) ზუგდიდის მაზრაში საერობო ხმოსნების არჩევნები დაინიშნა. მასში მონაწილეობა სამმა პოლიტიკურმა სუბიექტმა მიიღო: №1 - სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი); №2 - საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია; №3 - საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია.

ზუგდიდის მაზრა საერობო არჩევნებისათვის 6 საარჩევნო უბნად დაიყო: წალენჯიხის პირველი, წალენჯიხის მეორე, ზუგდიდის პირველი, ზუგდიდის მეორე და ხობის. გარდა ამისა ქალაქი ზუგდიდი ცალკე საარჩევნო უბანს წარმოადგენდა (ფონდი 1863: 4).

წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანი 7 საარჩევნო უბნად დაიყო: წალენჯიხა, ჯვარი, ჯგალი, ფახულანი, ლია, ჭალე და ობუჯი.

წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული იყო12 616 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 5 252 ამომრჩეველმა მიიღო.[3]

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემო-კრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 4 105 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 188 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 952 ხმა.[4]წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანი 8 საარჩევნო უბნად დაიყო: ლესიჭინე, ლეწურწუმე, ახუთი, ჭოღა, ნაფიჩხოვო, კირცხი, ჩხოროწყუ და მუხური.

წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 11 718 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 4 311 ამომრჩეველმა მიიღო. პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 2 065 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 184 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 2 062 ხმა.

ზუგდიდის პირველი საარჩევნო უბანი 10 საარჩევნო უბნად დაიყო: ნიკოსია, ცაიში, დარჩელი, კოკი, კახათის, აბასთუმანი, შამგონა, ანაკლია, ნა-

---

[3] აღნიშნულ მონაცემებში ცთომილებაა, წალენჯიხის თითოეულ საარჩევნო უბანზე, არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა სტატისტიკური მონაცემების, ასევე სამივე პოლიტიკური პარტიის მიერ მიღებული ხმების დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ წალენჯიხის საერობო ხმოსანთა არჩევნებში მონაწილეობა არა 5 252 ადამიანმა, არამედ 5 245 ამომრჩეველმა მიიღო (ბ. ლ).

[4] აღნიშნულ დოკუმენტების მიხედვით წალენჯიხის I საარჩევნო უბანზე, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ 959 ხმა მიიღო. წალენჯიხის თითოეულ საარჩევნო უბანზე საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მიერ მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ წალენჯიხის I საარჩევნო უბანზე, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ არა 959, არამედ 952 ხმა მიიღო (ბ. ლ).

რაზენი და ოირემე-გითიანი. ზუგდიდის პირველი საარჩევნო უბანში რეგისტრირებული იყო 13 110 ამომრჩეველი.[5] არჩევნებში მონაწილეობა 3 392 ამომრჩეველმა მიიღო.

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 858 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 266 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 2268 ხმა.

ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანი 9 საარჩევნო უბნად დაიყო: ყულისკარი, კორცხელი, ჭაქვინჯი, ძველი ხიბულა, ახალი ხიბულა, რიყე, ჭკადუაში, ლედგებიე და ზუგდიდი. ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული 10 174 ამომრჩეველი იყო. არჩევნებში მონაწილეობა 2 448 ამომრჩეველმა მიიღო.[6]

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 675 ხმა;[7] საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 149 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 1 624 ხმა.

ხობის საარჩევნო უბანი 11 საარჩევნო უბნად დაიყო: დიდი ნეძი, ხეთა, ხორგა, ხობი, ქარიატა, ნოჯიხევი, ხორში, ზანა, ქვალონი, საჯიჯაო და რე-

---

[5] აღნიშნულ მონაცემს აკლია ოირემე-გითანის საარჩევნო უბანზე რეგისტრირებული ამომრჩეველთა რიცხვი, რომელიც ოქმების მიხედვით უცნობია.

[6] აღნიშნულ დოკუმენტების მიხედვით ზუგდიდის საარჩევნო უბანზე არჩევნებში მონაწილეობა 2 440 ამომრჩეველმა მიიღო. ზუგდიდის თითოეულ საარჩევნო უბანზე, არჩევნებში მონაწილე ამომრჩევლების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების და ამავდროულად ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანზე სამივე პოლიტიკური პარტიის მიღებული ხმების დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა არა 2 240 ადამიანმა, არამედ 2 448 ამომრჩეველმა მიიღო (ბ. ლ).

[7] აღნიშნულ დოკუმენტის მიხედვით ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანზე, სოციალისტური ბლოკმა (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 667 ხმა მიიღო. ზუგდიდის თითოეულ საარჩევნო უბანზე სოციალისტური ბლოკის მიერ მიღებული ხმების დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანზე სოციალისტურმა ბლოკმა არა 667, არამედ 675 ხმა მიიღო (ბ. ლ).

დუტ-კალე. ხობის საარჩევნო უბანში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული 15 625 ამომრჩეველი იყო.[8] არჩევნებში მონაწილეობა 5 813 ამომრჩეველმა მიიღო.

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 3 492 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 712 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 1 609 ხმა.

ქალაქი ზუგდიდის საარჩევნო უბანი: ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო უბანზე, საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული იყო 2 485 ამომრჩეველი. არჩევნებში მონაწილეობა 787 ამომრჩეველმა მიიღო.

პოლიტიკურ პარტიებს შორის შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 446 ხმა; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 255 ხმა; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 86 ხმა.

ზუგდიდის მაზრის საარჩევნო სიაში რეგისტრირებული იყო 65 728 ამომრჩეველი,[9] არჩევნებში მონაწილეობა 21 995 (33,823%) ამომრჩეველმა მიიღო.[10]

ზუგდიდის მაზრაში პოლიტიკურ პარტიათა შორის ხმები შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკ-

---

[8] აღნიშნულ მონაცემში ცთომილებაა, ხობის თითოეულ საარჩევნო უბანზე საარჩევნო სიაში რეგისტრირებული ამომრჩევლების სტატისტიკური მონაცემის დაჯამებით დადგინდა, რომ ხობის საარჩევნო უბანზე, საარჩევნო სიის მიხედვით არა 15 625, არამედ 14 925 ამომრჩეველმა მიიღო არჩევნებში მონაწილეობა **(ბ. ლ).**

[9] აღნიშნულ მონაცემში ცდომილებაა, ზუგდიდის მაზრაში საარჩევნო სიის მიხედვით რეგისტრირებული ამომრჩეველთა სტატისტიკური მონაცემების დაჯამებით დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრაში არჩევნებში რეგისტრირებული არა 65 728, არამედ 65 024 ამომრჩეველი იყო (ბ. ლ).

[10] აღნიშნულ მონაცემებში ცთომილებაა, ზუგდიდის მაზრაში არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა, სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრაში, საერობო ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობა არა 21 995, არამედ 21 996 (33,827%) ამომრჩეველმა მიიღო (ბ. ლ).

რატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 11 633 (53,7%) ხმა;[11] საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 1 754 (7,88%) ხმა;[12]
საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 8 608 (39,13 %) ხმა;[13]

ზუგდიდის სამაზრო ერობაში სულ 30 ხმოსანი იყო ასარჩევი. არჩეული ხმოსნების რაოდენობა პოლიტიკურ პარტიებს შორის შემდეგნაირად გადანაწილდა: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 17 ხმოსანი;[14] საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 1 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 12 ხმოსანი.

ზუგდიდის მაზრის თითოეულ საარჩევნო უბანზე ხმოსნები, შემდეგი თანაფარდობით იყვნენ არჩეულნი: წალენჯიხის პირველი საარჩევნო უბანი, სულ 6 ხმოსანი იყო არჩეული: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 5 ხმოსანი, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 1 ხმოსანი. წალენჯიხის მეორე საარჩევნო უბანი, სულ 5 ხმოსანი იყო არჩეული: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 3 ხმოსანი, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 2 ხმოსანი.

---

[11] აღნიშნულ მონაცემებში ცთომილებაა, ზუგდიდის მაზრის ერობის არჩვნებში სოციალისტური ბლოკის (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოფიალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) მიერ მიღებული ხმების სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრაში სოციალისტურმა ბლოკმა არა 11 633, არამედ 11 641 (52,923%) ხმა მიიღო (ბ. ლ).

[12] აღნიშნული მონაცემის პროცენტულ მაჩვენებელში ცდომილებაა, პროცენტის დაანგარიშების შედეგად დადგინდა რომ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიამ არა 7,88% არამედ 7,974% მიიღო - **ბ. ლ.**

[13] აღნიშნულ მონაცემებში ცთომილებაა, ზუგდიდის მაზრის ერობის არჩევნებში საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მიერ მიღებული ხმების, სტატისტიკური მონაცემების დაჯამების შედეგად დადგინდა, რომ ზუგდიდის მაზრაში საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიამ არა 6 608, არამედ 8 601 (39,102%) ხმა მიიღო (ბ. ლ).

[14] სოციალისტური ბლოკიდან სამაზრო ერობაში, გაყვანილ იქნა 17 ხმოსანი, აქედან: საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია 9, ხოლო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისთა სარევოლუციო პარტია - 8 ხმოსანი.

ზუგდიდის პირველი საარჩევნო უბანი: სულ 6 ხმოსანი იყო არჩეული:

სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 2 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 4 ხმოსანი.

ზუგდიდის მეორე საარჩევნო უბანი: სულ 5 ხმოსანი იყო არჩეული:

სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 2 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 3 ხმოსანი; ხობის საარჩევნო უბანი, სულ 7 ხმოსანი იყო არჩეული:

სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 4 ხმოსანი; საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 1 ხმოსანი; საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია - 2 ხმოსანი; ქალაქ ზუგდიდის საარჩევნო უბანი, სულ 1 ხმოსანი იყო არჩეული: სოციალისტური ბლოკი (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) - 1 ხმოსანი (ფონდი 1863: 9; ფონდი 1863: 5).

დასკვნა

1918 წლის 1 დეკემბერს ზუგდიდის მაზრაში საერობო ხმოსანთა არჩევნები ჩატარდა. არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა აქტივობამ 33,8% შეადგინა. აღნიშნულ არჩევნებში სოციალისტურმა ბლოკმა (საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია და საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის გაერთიანებული ბლოკი) 52,923%-ით მოახერხა გამარჯვების მოპოვება, შესაბამისად 17 ხმოსნის გაყვანა შეძლო. მეორე ადგილზე გავიდა საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, რომელმაც ხმების 39,1% მიიღო, შესაბამისად 12 ხმოსანი გაყვანა. მესამე ადგილი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიამ დაიკავა, რომელმაც მხოლოდ 1 ხმოსნის გაყვანა მოახერხა.

საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას საარჩევნო დებულების რაიმე სახით დარღვევას ადგილი არ ჰქონდა. მხოლოდ წალენჯიხის ერთ რაიონში არჩევნების გაუქმებას საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია (ესერები) მოითხოვდა. მათ დებულების დარღვევის ამსახველი ვერცერთი დამადასტურებელი საბუთის წარდგენა ვერ მოახერხეს. შესაბამისად საარჩევნო კომისიამ აღნიშნული არჩევნები კანონიერად ჩათვალა.

ამდენად, ზუგდიდის მაზრაში საერობო არჩევნები დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით ჩატარდა. არჩევნების მიმდინარეობის პროცესში ადგილი არ ჰქონია ისეთ კანონსაწინააღმდეგო ქმედებას, რომელსაც შეეძლო რაიმე სახის მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა არჩევნების შედეგზე.

საარქივო მასალები:

ფონდი 1863: საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1863,

- ✓ აღწერა 1, საქმე 469;
- ✓ აღწერა 1, საქმე 907;
- ✓ აღწერა 1, საქმე 908.